


ღების მაცხოვარი



ქრისტე აღსდგა!

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულსა და ღების მაცხოვრის აღდგომის ეკლესიის მშენებლობის დასრულებას.

ღების მაცხოვრის აღდგომის ეკლესია სრულ მზადყოფნაშია მღვდელმსახურებისათვის

ძველთაძველი ღები კვლავ დაამშვენა ახლად აღმართულმა მაცხოვრის აღდგომის ჯვარ-გუმბათოვანმა ტაძარმა. ძირითადი სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია და სულ მალე საზეიმოდაც გაიხსნება.

შთამბეჭდავი ნაგებობა კარგად შეერწყა სოფლის იერ-სახეს, ხოლო რაც შეეხება სულიერ დანიშნულებას, განუზომელია მისი მნიშვნელობა მთარაჭისათვის. ჭეშმარიტი მართლმადიდებლური სარწმუნოებით, ეკლესიურად ცხოვრების თითქმის საუკუნოვანი წყვეტილობის შემდეგ ტაძრის ამოქმედებას უდიდესი საკრალური შინაარსი და ღირებულება გააჩნია.

გრძელი და სულიერებით დატვირთული გზა განვლო ქრისტიანობამ ღების ხევიში ახალი ტაძრის აგებამდე. მოკიდებული IV საუკუნიდან, როცა ქრისტეს სწავლებამ შემოაღწია მთარაჭაში მცხეთიდან (ლიახვის ხეობის გავლით), საუკუნეთა მანძილზე არ განვლულა ეკლესიათა მშენებლობა და ცხოველი მღვდელმსახურება.

V საუკუნეში მფევე ვახტანგ გორგასალმა დედალეთი და მასთან მთარაჭაც ნიქოზის საეპისკოპოსოს დაუქვემდებარა. იმდროინდელი სამლოცველოების ნაშთები ჯერჯერობით მიუკვლეველია. მხოლოდ X-XII საუკუნეებში აგებულ ტაძართა ნანგრევებმა მოაღწია დღემდე (ღების მაცხოვარი, ღების ღვთისმშობელი, ბრილის წმ. გიორგი, თევრეშის მთავარანგელოზი, შოდის წმ. გიორგი, ფიცრისუღას ეკლესია...).

ღების მაცხოვრის დიდებული ტაძარი ძველად ციხიკარს იდგა და იწოდებოდა ზედქალაქის ჯვარცმის ეკლესიად. ეს დადასტურებულია 1503 წლის საბუთით. თუ როდის შეიქცა მთავარი ხატი, უცნობია ჩვენთვის. ეკლესია გამოირჩეოდა განსაკუთრებული ხუროთმოძღვრული ფორმით – ოთხკუთხა გუმბათით, რაც იშვიათობაა ქართულ

ტაძართმშენებლობაში. თითქმის ასეთივე ფორმისა იყო ღების ღვთისმშობლის ეკლესია (პატარა ღებში).

1850-იანი წლების ბოლოს ღების მაცხოვრის მრავალსაუკუნოვანი ტაძარი საგრძნობლად დაზიანდა სიძველით და კიდევაც ჩამოიქცა. სოფლის მრავალრიცხოვანმა მოსახლეობამ იმთავითვე გადააწყვიტა ახალი საყდრის აგება. ცხად

დად სასულიერო პირებისა. ამიტომაც გადაწყდა, ალბათ, საყდრის ახალ ადგილას – ჯვარიანაში აგება.

გადმოცემით, ვიცით თუ როგორი დიდი ენთუზიაზმით შეუდგა სოფელი მშენებლობას საკუთარი ხარჯებით. მართალია, მოწვეულმა კალატოზებმა გადაუხვიეს ქართული ხუროთმოძღვრების ტრადიციებს, მაგრამ საკმაოდ დიდი ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი მაინც კარგად ჩაჯდა ღების დიდებულ არქიტექტურულ ანსამბლში.

1920-იანი წლების დასაწყისში, ცნობილ მიზეზთა გამო, ეკლესიაში მღვდელმსახურება შეწყდა; მაგრამ იმ ხანებში ტაძარი დანგრევას მაინც გადაურჩა. 1930 წელს სოფლის კლუბად გადააკეთეს. 1949 წელს ათეისტებმა თავისი გაიტანეს და საყდარი ნანგრევებად აქციეს. ეკლესიის ღამაზად ნათალი ქვიშაქვის ქვები ახალი კლუბის მშენებლობაზე გამოიყენეს.

მას შემდეგ, რაც კომუნისტურმა წყობამ არსებობა შეწყვიტა, დღის წესრიგში დადგა ეკლესიის ხელახლად აშენება. ჩანაფიქრის სისრულეში მოსაყვანად თბილისში, ღების სადროშოში, შეიქმნა საინციტივო ჯგუფი, რომელსაც სათავეში რომელსაც (ხსუტყენთი). მანვე ითავა მშენებლობის საერთო ხელმძღვანელობა და პირნათლად გაართვა თავი დაკისრებულ მოვლათ-

ბას. ახალი ტაძრის არქიტექტორია გივი გოგრიტიანი, რომელმაც თავისი ცოდნა და ენერჯია სრულიად უანგაროდ მოახმარა ეკლესიის სრულყოფას.

2004 წელს ღებს ეწვია სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, მისი უწმინდესობა ილია II. სწორედ მაშინ მოახდინა პატრიარქმა ეკლესიის მესამედ სახელდება და ეწოდა – ღების მაცხოვრის აღდგომის ეკლესია. ამ სახელობის ჩვენი ტაძარი ერთადერთია საქართველოში.


ეკლესიის ჩვენთვის ცნობილი მღვდელმსახურები იყვნენ: მამა სპირიდონ ნექტარიონის ძე გავაშელიშვილი (1795-1848 წწ.), მამა რომანოზ კანდელაკი (1843-1847), მამა გიორგი გოგრიტიანი (1849-1850), მამა კირილე მეტრეველი (1850-1854), მამა ალექსი ჭიჭინაძე, მამა ალექსი გიორგობიანი, მამა გრიგოლ ჩიკვაძე (1856-1858), მამა თეოდორე სპირიდონის ძე გავაშელიშვილი (1854-1881), მამა მიხეილ თევდორეს ძე გავაშელიშვილი (1881-1908), მამა სვიმონ ალავეძე (1908), მამა სპირიდონ პეტრეს ძე გავაშელიშვილი (1908-1912), მამა თეოფილე ზაქარიას ძე გიორგობიანი (1912-1914), მამა ეგნატე სოლომონის ძე მეტრეველი (1912-1922).

2008 წლის 14 ოქტომბერს, მცხეთობასვეტიცხოვლობის დღეს, მაღალყოვლადუსამღვდელოესმა ნიკორწმინდელმა მთავარეპისკოპოსმა ელისემ (ჯოხაძე) აკურთხა ტაძარი. კურთხევის რიტუალში მონაწილეობდნენ მღვდელმსახურები: დეკანოზი დანიელი, მამა ნოე, მამა დავითი, მამა გაბრიელი, მამა ლაზარე.

ღების მაცხოვრის აღდგომის ეკლესია მზადაა მღვდელმსახურებისათვის.

მაცხოვრის დიდი ძალა და მადლი ფარავდეს ღებს და სრულიად საქართველოს!

კ.ბ.



ღია, რომ იმავე ადგილას მშენებლობის წამოწყება ვეღარ მოხერხდებოდა მარტივი მიზეზით – ეკლესიის ირგვლივ უამრავი საფლავის არსებობით, ძირითა-

დად სასულიერო პირებისა. ამიტომაც გადაწყდა, ალბათ, საყდრის ახალ ადგილას – ჯვარიანაში აგება.

ვინ იყვნენ ხებურები?

VII საუკუნის სომეხი ანონიმი გეოგრაფი, კავკასიის ხალხთა ჩამონათვალში, ეხება რა რიონის სათავეებში მცხოვრებ ქართველურ თემებს, წერს, რომ აქ სახლობენ: რაჭანები, დვალეები, ქუდებები, ხებურები.

კარგა ხანია, რაც მკვლევართა ყურადღება მიიქცია ძველი გეოგრაფის ასეთმა აღწერილობამ. ცნობილი მეცნიერი, ლევან ფრუიძე, მიიხსენებს, რომ რაჭანები იგივე რაჭველებია, რაც საკმაოდ დამაჯერებელია და ეჭვს არ

იწვევს, ისე როგორც დვალეები. რაც შეეხება ქუდებებს, ამ თემს კუდაროვლებად აიგივებს, ხოლო ხებურებს – ღებურებად ანუ ღებელებად. ღებს და კუდაროს ბ-ნი ლევანი რაჭის უძველეს სოფლებად მიიხსენებს, თანაც შემოგა-

რენი ქვეყნებით. ღების შემოგარენში უნდა ვივულისხმეთ მთლიანი მთარაჭა.

ნ.გ.

შემოწირულობა

მრავალი ადამიანის შემოწირულმა ფულადმა სახსრებმა და სხვა სახის დახმარებამ, დიდმა მონღოებამ და იაგო გოგრიტიანის უნარიანმა ხელმძღვანელობამ შედეგი გამოიღო. ღობის მაცხოვრის აღდგომის ეკლესია 2009 წლის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს დასრულებული სახით ხვდება და სრულ მზადყოფნაშია მღვდელმსახურებისათვის. ეს არის მოვლენა, რასაც ათწლეულები ელოდებოდა ღობის და მრავალ ქვეყანაში მცხოვრები ღობელები, მთლიანი რაჭა. რაჭის უკიდურეს ჩრდილოეთში აღმართულ ტაძარს დიდი სულიერი დატვირთვა გააჩნია და გვწამს – ეკლესია საუკუნეებში შეასრულებს თავის დანიშნულებას.

მართალია, ტაძარი მზადაა ამოქმედებისათვის, მაგრამ გასაკეთებელი ბევრი რამ არის კიდევ. მოსაწყობია ეზო, ასაგებია სამრეკლო, მოსახატია შიდა კედლები და ა.შ. ასე რომ, კვლავ მოგიწევს ფულადი თანხების მო-

ზიდვა და ძალისხმევა, რომ ბოლომდე მივიყვანოთ საქმე, რათა ღობს ჰქონდეს ყოველმხრივ დასრულებული სულიერი კერა – უფლის ღამაში სახლი. უღრმესი მადლობა ყველას, ვინც გაითავისა, გულთან ახლოს მიიტანა ეკლესიის აღდგენა და თავისი წვლილი შეიტანა მშენებლობაში. ღობის მაცხოვრის დიდი ძალა იყოს ყველას შემწე და მფარველი!

ვაგრძელებთ გაზეთის წინა ნომრებში დაწყებულ შემოწირველთა სიის გამოქვეყნებას.

2007-2009 წლებში შემოსული შემოწირულობა:

1. ალხიძე ვანო – 50 ლ.
2. ბოხაშვილი გელა – 20 ლ.
3. ბოხაშვილი დათო – 50 ლ.
4. გაგაშვილი ირინა თემურის ასული (ნაწილიანი) – 50 ლ.
5. გაგაშვილი ნაზიკო (თამაზიკიანი) – 50 ლ.
6. გაგაშვილი კლავა (თამაზიკიანი) – 100 ლ.
7. გაგაშვილი აზა (ოთუკეი) – 20 ლ.
8. გაგაშვილი ბაბალო (გოტოენი) – 100 ლ.
9. გაგაშვილი ავთო (ოთუკეი) – 50 ლ.
10. გაგაშვილი ლიკა (თამაზიკიანი) – 50 ლ.
11. გაგაშვილი ნიკოლოზ (ნაწილიანი) – 50 ლ.
12. გაგაშვილი გელა (გოტოენი) – 200 ლ.
13. გაგაშვილი გელა (ბზიკეი) – 100 ლ.
14. გაგაშვილი ზურიკო (ხათუკეი) – 100 ლ.
15. გაგაშვილი დათო (ანჯიეი) – 100 ლ.
16. გაგაშვილი ზემილა (ქაოხეი) – 100 ლ.
17. გაგაშვილი გიო (გოტოენი) – 100 ლ.
18. გაგაშვილი გონა (ეფრემი) – 50 ლ.
19. გაგაშვილი დათო გელას ძე (თამაზიკიანი) – 100 ლ.
20. გაგაშვილი ვანო (ოთუკეი) – 50 ლ.
21. გაგაშვილი თამაზი (ხათუკეი) – 200 ლ.
22. გაგაშვილი ტერეზა თემურის ასული (ნაწილიანი) – 70 ლ.
23. გაგაშვილი პაპუნა (ანჯიეი) – 20 ლ.
24. გობეჯიშვილი გივი (გოგეი) – 100 ლ.
25. გობეჯიშვილი ვახტანგი (შალიკიანი) – 20 ლ.
26. გობეჯიშვილი გიორგი (გაბრიტიანი) – 100 ლ.
27. გობეჯიშვილი თამაზი (ნინეი) – 100 ლ. + 50 ლ.
28. გობეჯიშვილი ქეთევანი (ნაწილიანი) – 50 ლ.
29. გობეჯიშვილი თენგიზი (გოგეი) – 100 ლ.
30. გობეჯიშვილი პავლე (ნინეი) – 100 ლ.
31. გობეჯიშვილი ჯუმბერი (გოგეი) – 50 ლ.
32. გობეჯიშვილი ვასო (ყაწუნეი) – 100 ლ.
33. გობეჯიშვილი გია (ნინეი) – 50 ლ.
34. გობეჯიშვილი ზაზა (ნინეი) – 50 ლ.
35. გობეჯიშვილი რეზო (ყაწუნეი) – 50 ლ.
36. გობეჯიშვილი ავთო (ყაწუნეი) – 50 ლ.
37. გობეჯიშვილი ანზორი (შალიკიანი) – 50 ლ.
38. გოგრიტიანი ირინა (ლენხუმეი) – 100 ლ.
39. გოგრიტიანი ლამარა (ლენხუმეი) – 200 ლ.
40. გოგრიტიანი გია (ბერუკიანი) – 100 ლ.
41. გოგრიტიანი ზვიადი (ბერუკიანი) – 100 ლ.
42. გოგრიტიანი ალექსანდრე (ლენხუმეი) – 300 ლ.
43. გოგრიტიანი (ბერუკიანი) – 50 ლ. მიშიკო
44. გოგრიტიანი გიორგი – 500 ლ. (ბერუკიანი)
45. გოგრიტიანი ნინო (ჩხუტეი) – 20 ლ.
46. შავდია დემიკო – 20 ლ.
47. გოგრიტიანი ნათელა (ჩხუტეი) – 20 ლ.
48. გოგრიტიანი დათუნა (ლენხუმეი) – 50 ლ.
49. გოგრიტიანი ბაკური ვახტანგის ძე (მამუნიანი) – 1000 ლ.
50. გოგრიტიანი აბო (ჩხუტეი) – 100 ლ.
51. გოგრიტიანი მამუკა (ზაქუტეი) – 20 ლ.
52. გოგრიტიანი ლაშა (პაპოენი) – 50 ლ.
53. გოგრიტიანი დათო (ყაწუნეი) – 50 ლ.
54. გოგრიტიანი გელა (ყაწუნეი) – 20 ლ.
55. ლობჯანიძე ლევანი (ნაწილიანი) – 200 ლ.
56. ლობჯანიძე ვასო (პაპუკიანი) – 50 ლ.
57. ლობჯანიძე-მიქელაძე თამარი (ალუკეი) – 200 ლ.
58. ლობჯანიძე თემური (ალუკეი) – 200 ლ.
59. ლობჯანიძე შალვა (სვანეი) – 50 ლ.
60. ლობჯანიძე გვირიტო (ქესურეი) – 50 ლ.
61. ლობჯანიძე ჯუნა (კანკალეი) – 200 ლ.
62. ლობჯანიძე მამუკა ილოს ძე (კანკალეი) – 100 ლ.
63. ლობჯანიძე მალხაზი (კანკალეი) – 100 ლ.
64. ლობჯანიძე მაკა (დავითეი) – 10 ლ.
65. ლობჯანიძე ტარიელ (ჩოპეი) – 200 ლ.
66. ლობჯანიძე გონა (ჯავახიანი) – 500 ლ.
67. ლობჯანიძე მარიამ გიას ასული (მჭედლიანი) – 20 ლ.

68. ლობჯანიძე ანზორის (ყაყეი) ოჯახი – 1000 ლ.
69. ლობჯანიძე ზურა (პაპუკიანი) – 100 ლ.
70. ლობჯანიძე გელა გივის ძე (დეჯოენი) – 100 ლ.
71. ლობჯანიძე ავთო (თვალეი) – 100 ლ.
72. ლობჯანიძე ზურაბი – 5000 ლ.
73. ლობჯანიძე ზოია (თვალეი) – 100 ლ.
74. ლობჯანიძე იზოლდა (დაჯიკეი) – 20 ლ.
75. ლობჯანიძე რეზო (თანდიკეი) – 200 ლ.
76. ლობჯანიძე რეზო გონას ძე (სვანეი) – 300 ლ.
77. ლობჯანიძე ვალო (ჯავახიანი) – 100 ლ.
78. ლობჯანიძე თამარი (კაცეი) – 10 ლ.
79. ლობჯანიძე ეთერი (კაცეი) – 10 ლ.
80. ლობჯანიძე გელა (მჭედლიანი) – 30 ლ.
81. ლობჯანიძე თამაზი (მჭედლიანი) – 30 ლ.
82. ლობჯანიძე ჭაბუკა (სვანეი) – 25 ლ.
83. ლობჯანიძე თემური (სვანეი) – 25 ლ.
84. ლობჯანიძე ზინა (სვანეი) – 25 ლ.
85. ლობჯანიძე რობიზონი (ქესურეი) – 50 ლ.
86. „ღობჯანიძე რუსიკო (სვანეი) – 25 ლ.
87. ლობჯანიძე ნარო (ჩოპეი) – 100 ლ.
88. ლობჯანიძე თინკო ავთოს ასული (მჭედლიანი) – 100 ლ.
89. ლობჯანიძე გონა (ნანუკიანი) – 100 ლ.
90. ლობჯანიძე იუზა (პაპუკეი) – 50 ლ.
91. ლობჯანიძე ზურაბი (პაპუკეი) – 50 ლ.
92. ლობჯანიძე გუჯა (ნანუკიანი) – 120 ლ.
93. ლობჯანიძე კაკო (კაცეი) – 500 ლ.
94. ლობჯანიძე ემზარი (გიგეი) – 20 ლ.
95. ლობჯანიძე გრიშა (ზარმანეი) – 100 ლ.
96. ლობჯანიძე ბესტა (ჩოპეი) – 20 ლ.
97. ლობჯანიძე ზურიკო (ნანუკიანი) – 20 ლ.
98. ლობჯანიძე ვეფხია (სვანეი) – 20 ლ.
99. ლობჯანიძე გივი (თვალეი) – 20 ლ.
100. ლობჯანიძე ნესტორი (კანკალეი) – 20 ლ.
101. ლობჯანიძე ვანო (ჯოტეი) – 20 ლ.
102. ლობჯანიძე ზურა (ხეთისუკეი) – 50 ლ.
103. ლობჯანიძე დაჯი (სვანეი) – 50 ლ.
103. არღელიანი დათო (ჭიორღების სახლიში) – 500 ლ.
104. ახალკაციშვილი ნანა(მამა დანიელის მრედი) – 1200 ლ.
105. ახალკაციშვილი ემზარი – 100 ლ.
106. ბელაშვილი იური – 20 ლ.
107. გაგნიძე გიორგი არდალოს ძე – 25 ლ.
108. გაზაშვილი ვიქტორი (გოგეი სიძე) – 50 ლ.
109. გუგუშვილი ვახტანგი – 30 ლ.
110. ბიჭაშვილი ვაჟა – 5 ლ.
111. კოდუა ზვიადი – 50 ლ.
112. ლომია მურთაზი – 50 ლ.
113. მისურაძე ჯემირი – 20 ლ.
114. მადლდაძე ანიკო – 50 ლ.
115. მეტრეველი ვასო – 100 ლ.
116. რეხვიაშვილი შოშია – 20 ლ.
117. ყიფიანი ნათია – 100 ლ.
118. ჯაბუშვილი დათო – 50 ლ.
119. შაუთიძე პაატა (ვივიტიანი) – 100 ლ.

ეკლესიის შეწირულების ყუთიდან შემოსული თანხა – 476 ლ.

კისლოვოდსკოში მცხოვრებმა ღობელებმა ეკლესიის მშენებლობის ფონდში დამატებით შემოიტანეს – 7030 ლ.

ფულადი შემონატანის გარდა, მშენებლობას სხვადასხვა სახის დახმარება აღმოუჩინეს:

1. გაგაშვილი ზვიადი (გოტოენი) – 10 ტ. ცემენტი.
2. გობეჯიშვილი იური (დეუკეი) – დიდი ჭადის რესტავრირება; დიდი ხის ჯვრის დამზადება, საკუთარი მასალით; გარდამოსხნის ლუსკუმის დასასვენებელი – ანალოდისა და ოთხი სხვა ანალოდის დამზადება.
3. გოგრიტიანი ჟორა (მამუნიანი) – კანკელის

- კარების დამზადება.
4. ლობჯანიძე გია ანზორის ძე (კაცეი) – 80 ლ. დიზელის საწვავი.
5. ლობჯანიძე მურმანი, ლობჯანიძე გია (კაცეი) – ტაძრის პერანგის მოსაპირკეთებელი ქვა, მთლიანი იატაკის დასაგები ფილა, 10 ტ. ცემენტი, ტაძრის გარეთა კედლის ძირის მოსაპირკეთებელი ქვა.
6. ლობჯანიძე დიმა, მამა დანიელი (ზალიკიანი) – 2 ცალი სარკმელი.
7. ლობჯანიძე ომარი (კაცეი) – ეკლესიის შესწირა საკუთარი სახლი.
8. ლობჯანიძე გელა (ჯავახიანი) – ხატის მასალა.
9. ლობჯანიძე ვეფხია (თვალეი) – ტიხრის ფილა კანკელისათვის.

ბევრი ღობელი საკუთარი ავტომანქანით ან ტრაქტორით უანგაროდ ანდა გარკვეული შეღავათით უზრუნველყოფს სამშენებლო მასალების ტრანსპორტირებას. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი:

1. გაგაშვილი ბაბალო (გოტოენი)
2. გაგაშვილი კობა (კაკოენი)
3. ბოხაშვილი ჯუბა
4. გოგრიტიანი თვალეი (სავიეი)
5. გოგრიტიანი ანზორი (ზაქუტეი)
6. ლობჯანიძე ნარო (ჩოპეი)
7. ლობჯანიძე ლევანი (ნანუკიანი)
8. ლობჯანიძე ჟორა (ქესურეი)
9. ლობჯანიძე ვიტალი (ხეთისუკეი)
10. ლობჯანიძე ვეფხია (თვალეი)

საყდრის მშენებლობაზე ბევრი ღობელი და ღობის სტუმარი შრომობს სრულიად უანგაროდ, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვწირავთ თითოეულ მათგანს. ამ მხრივ მნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ: გაგაშვილი გიო (გოტოენი), გობეჯიშვილი გელა (ბაჭილეი), გობეჯიშვილი ბათალა (ნაწილიანი), ლობჯანიძე ვაჟა (თვალეი), ლობჯანიძე ვეფხია (კანკალეი), ლობჯანიძე თენგი (ნანუკიანი), მძებნი – ამბროსი და ზურიკო ლობჯანიძეები (ნაწილიანი) და სხვ.

ახლო მომავალში, განზრახულია გამოიცეს წიგნაკი, სადაც დაწვრილებით იქნება აღწერილი ეკლესიის წარსული, მშენებლობის ხარჯები, ამა თუ იმ სახით შემოწირველთა ვრცელი ჩამონათვალი და ა.შ. არაფერი და არავინ იქნება დავიწყებული...

ფულადი სახით დღემდე მშენებლობის ფონდში შემოსულია – 105150 ლარი.


დახარჯული და ხელთ არსებული თანხა შეადგენს – 137120 ლარს.

სხვაობა, ე. ი. 31970 ლარი გაღებულია მშენებლობის ხელმძღვანელის იაგო გოგრიტიანის მიერ.



ასე იწყებოდა

დიდება ბრძანეთ მაცხოვრისა!



დეკანოზი დანიელი მსახურებისას

ბოლო წლებში თბილისში აღორძინებული ძველი ტრადიციის – „დიდება ბრძანეს“ საზეიმოდ აღნიშვნა უფრო და უფრო მასშტაბური ხდება. თბილისში, რუსთაველაში, გამარჯვებაში, ნორიოში, თელეთსა და ლილოში მცხოვრები დეპუტეები ამ დღეს განსაკუთრებულად ეფერებიან ერთმანეთს. საუკუნეების წინ ჯვარცმის დაბრუნების სიხარული სუფევს ყოველი ხორციელი კვირის ხუთშაბათს. უკვე რამდენიმე წელია, დღესასწაულის საზეიმო ელფერს მეტი შინაარსი შესძინა ეკლესიამ, რაც ვაკის სამების ტაძრის წინამძღვის, დეკანოზ დანიელის (ღობჯანიძე) დიდი დამსახურებაა. ასე იყო წელსაც, 19 თებერვალს. უამრავი დეპუტე შეიკრიბა სამების ეკლესიაში, მოისიყვარულეს ერთმანეთი, დაესწრნენ წირვა-ლოცვას; ოთხ წვეილს ჯვარი დასწერა მამა დანიელმა. დასასრულს, რამდენიმე ადგილას გაიმართა ნადიმი.



jrviswera vakis samebis eklesiaSi

ღების სკოლა 140 წლისაა



ღების საშუალო სკოლის პედაგოგები, მარცხნიდან: მანია გავაშელი (ამირანეუთი), სარა გავაშელი ლობჯანიძისა (ნანუკიანთი) და მარო ბრეგვაძე (ნაშონთი) მოსწავლეებთან.

1950-იანი წლები

1868 წელს, უფლის მადლით, რაჭას მაზრის უფროსად მოეწვინა დიდი მამულიშვილი, სულკურთხეული ნიკოლოზ ჩიჯავაძე. მოსვლისთანავე შეუდგა ეს ღვთისნიერი კაცი რაჭველთა კეთილდღეობისათვის დაუცხრომელ შრომას. მრავალწლოვანი წარმატებული საქმიანობიდან უპირატესობა იმთავითვე სწავლა-განათლებლას მიანიჭა, რაც მისი მადალი სულიერების მანქანებელია. მოღვაწეობის დასაწყისშივე გახსნა რაჭის 14 სოფელში (რაჭა მაშინ 140 სოფელს ითვლიდა) ერთკლასიანი სამინისტრო სკოლა მაზრის უფროსმა და მათ შორის ღებშიც. აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს სოფლის თავკაცთა სურვილი და მონდომება – ყოფილიყო განათლების კერა ღებში. პირველი ხელშემწყობი კი, რაღა თქმა უნდა, ეკლესია და მისი წინამძღვარი, მამა თევდორე სპირიდონის ძე გავაშელიშვილი, იქნებოდა.

წელი ემსახურა სრული დატვირთვით ეს ნაგებობა მთარაჭის სწავლა-განათლების საპატიო საქმეს, რის შემდეგაც საჭირო შეიქმნა ახალი, უფრო დიდი ზომის შენობის აგება. სწორედ აქ ფუნქციონირებს დღეს ღების საშუალო სკოლა.

რაც შეეხება საკუთრივ სასწავლო პროცესს, იმდენად მრავალმხრივი და მდიდარია სკოლის წარსული ამ მხრივ, რომ ყოველსმომცველი აღწერა ერთობ რთულია, განსაკუთრებით საწყისი წლებისა. მიუხედავად დიდი მონდომებისა, ვერ შევძელით დაგვედგინა, თუ ვინ იყვნენ სკოლის პირველი მასწავლებლები. ვიცით მხოლოდ, რომ ისინი იყვნენ სხვა მაზრის შვილები, უმეტესწილად ხონის სამასწავლებლო სემინარიის კურსდამთავრებულები.

პირველი დებელი მასწავლებელი ოქროპირ ლობჯანიძე (პაატიანთი) 1890 წელს შესდგომია მოწავლეთა აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. თუმცა მანამდე ღების მაცხოვრის ეკლესიის წინამძღვარი, მამა მიხეილ გავაშელიშვილი, საღმრთო წერილს ასწავლიდა სკოლაში. 1890 წელს გაზ. „ივერია“ წერდა: „...ღვთის მადლით, აქაური მღვდელი დიდი თანამგრძობელია სკოლისა. მისი დახმარებით წინ წაიწია სკოლამ და მოსწავლეებიც იმდენი დაიარსებინ, რომ სკოლაში გაჭირვებით ეტყვიან. მამა მიხეილმა ჩააგო-

ნა ხალხს სკოლის სარგებლობა და სწავლის აუცილებელი საჭიროება. ამას გარდა, საღმრთო წერილის მასწავლებლობაც იკისრა და დღემდე უსასყიდლოდ ასწავლის...“

1890-იანი წლების ბოლოს ღების სკოლის მასწავლებლობას შეუდგა ალექსი გობეჯიშვილი (ზვიდუკეუთი), რომელმაც 40 წელს იღვაწა პედაგოგიურ ასპარეზზე. 1910-11 წლებში მასწავლებლობდნენ მაღაქია და ვასილ გობეჯიშვილები (ზვიდუკეუთი). 1916-18 წლებში კი ღების სკოლაში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ჩვენი ცნობილი ექიმი სოგრატ გავაშელი (ხუციანთი). 1923-25 წლებში სკოლის მასწავლებლები არიან ბაგრატ გობეჯიშვილი (ზვიდუკეუთი) და ვარლამ ლობჯანიძე (პაატიანთი). 1930-იანი წლების დასაწყისიდან კი კლასებისა და მოსწავლეთა მატების შესაბამისად, იზრდება მასწავლებელთა რიცხვიც, სადაც უკვე აშკარად ჭარბობენ ადგილობრივი პედაგოგები.

ჩვენი მხარისა და ქვეყნის წინაშე. ათასობით მისმა აღზრდილმა აქ გაიარა წვრთნა და მომზადება ცხოვრების ასპარეზზე წარმატებით გასასვლელად. მათ შორის ბევრმა გაუთქვა სახელი სოფელს თავისი ცოდნით, საზოგადო მოღვაწეობით, მწვერლობით და ა.შ.

გვახსენდება სასიამოვნოდ მოსახმენი, რაჭაში ფართოდ გავრცელებული მოსახურება – დებელთა განსაკუთრებული, მოჭარბებული ლტოლვისა განათლებისადმი, რაც სრული ჭეშმარიტებაა. ყოველივე ეს კი, ცხადია, სკოლისა და ყველა დროის პედაგოგთა კრებული და მსახურებაა, ათწლეულებში რომ ჭედავდნენ სასწავლებლის პრესტიჟს.

დღეს, როცა მთის სოფლებს და მათთან სკოლებსაც, მიხეზთა გამო, ძალზე გაუჭირდათ, ბევრმა სასწავლებელმა არსებობაც კი შეწყვიტა, ღების საშუალო სკოლის პედაგოგები (ღირექტორი – ნუნუ ლობჯანიძე-გავაშელისა) თავს არ ზოგავენ, რათა, მოსწავლეთა საკმაოდ შემცირებული კონტინგენტის პირობებში, შეინარჩუნონ სწავლების სასურველი დონე.

გუსურვებთ განათლების ძველ კერას მოსწავლეთა სიმრავლესა და წარმატებულ სწავლებას!

თ.ზ.



მარცხნიდან მეორე - ღების სკოლის გამგე ალექსი გობეჯიშვილი (ზვიდუკეუთი). მის გვერდით პატარა ნადია გობეჯიშვილი (შემდგომში საქართველოს დამსახურებული პედაგოგი). 1912 წ. სოფ. ღები

რაჭული იუმორი

ღენტორა და ბიქტორა სათოსრად მიდიოდნენ ხიდიკარში. საუბარი გააბეს. ღენტორამ დაიხივლა, ხალხი

გაუფჭა და ყველაფერს იპარავსო. თუ ვინდა ახლავე დავაშტკიცებო, – აილო ორივე თოხი და გზაზე დადო, თვითონ კი მიიმალნენ. ამ დროს გამოიარა ერთმა ზემოურმა კაცმა, დანიხა თუ არა თოხები, შეიყვია: – აი, მოგიკვდათ მომგონი, რა ძალიან მე მიყვარს-

ართ, წინ რომ დამხვდით ამ დილაზო, – ჰკრა წიხლი და რიონში გადაყარა.

„მოსაგებიდან“ დაბრუნებულ რაჭველებს ნაქერალაზე ყანალები დახვდნენ და ყველაფერი წაართვეს. შენ რომ ჯიბიდან 100 თუმანი

ამომაცალე, ჩემი არ არის, ბაგრატამ გამომატანა თავის ცოლ-შვილთან. თუ კაცი ხარ, დამიბრუნე, – ემუდარება ყანაღს ღალაკო, – სანაცვლოდ ჩემს ფულს მოგცემ, ორჯერ უფრო მეტს, აგერ პაიტებში მაქვს გადამაღული.

ჯოგის გაცემა

გასულ წელს, სრულიად მოულოდნელად, მეტად კარგი საჩუქარი მივიღე ადიგენიდან. ჩემმა ბიძაშვილმა, კვაჭი გოგრიტიანი (ჩხუტევი), გასაცნობად გამომიგზავნა დავით ლობჯანიძის (კანკალევი) სქელტანიანი ჩანაწერების ის წიგნი, რომელიც მის ოჯახში ინახება.

ვიცოდი რა, რომ ბ-ნი დავითი ქ. ნაღვიძი ხანგრძლივი დროის მანძილზე დაკავებული იყო ღებულთა ცხოვრების აღწერით, ერთი სული მქონდა, ხელში ჩამეგრძნო და გავცნობოდი მის მონათხრობს. სურვილი ამიხდა და დიდი დაინტერესებით შევეუბნე ხელნაწერთა გაცნობას.

„თასი გლეხის დაღუპვა“, ასე სევდიანად დაუსათაურებია ავტორს მხატვრულ-დოკუმენტური წიგნი, სადაც ძირითად სიუჟეტად გამოყენებულია 1918 წლის ზაფხულში სვანების მიერ სახვანო გორიდან გატაცებული 200-ზე მეტი ხარი. ლევის წინ ამხელა ჯოგის გადარეკვა მართლაც რომ დიდი ზარალი და შეურაცხყოფა აღმოჩნდა ღებულთა-ვის, რამაც საგონებელში ჩააგდო მოსახლეობა. ეს მოხდა იმ დროს, როცა საქართველოს ახალი მოპოვებული ჰქონდა დამოუკიდებლობა და ჰქონდა სამართლის პოვნა. ამიტომაც იყო, რომ ღებულთა ერთი ნაწილი შურისძიებით განიმსჯვალა და გადაწყვიტა ძალისმიერით მეთოდებით სამაგიეროს გადახდა. უმრავლესობა კი სახელმწიფო ორგანოების ჩარევითა და მოლაპარაკებით აპირებდა საქმის მოგვარებას. ბევრი კამათისა და მსჯელობის შემდეგ მაინც მშვიდობიანად გზამ გადააძალა, თუმცა უშედეგოდ. სვანეთის სოფლებში დარბეზული, იაფად გაყიდული ხარების უკან დაბრუნება (მცირე გამოჩაღისის გარდა) შეუძლებელი აღმოჩნდა.

ძირითად სიუჟეტს ავსებს გადახვევები სხვადასხვა თემატიკით: ღებულთა მაცხოვრის ეკლესიის გაძარცვა 1910 წელს, მებატონე არმიისათვის ამოხოცვა, ღებულთა ცხოვრების ცალკეული ეპიზოდები და ა.შ.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთვის საინტერესო ღებულთა ამბების გახსენებასთან ერთად, ძალზე მიმზიდველია თხრობის ღებური სტილი, მრავალფეროვანი კილო-კავების ოსტატური გამოყენებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ ავტორი დიდი სიბოძით და კეთილგანწყობით აღწერს მრავალი ღებულის სახეს. მათ შორის არიან: ღრმად განსწავლული მალაქია გობეჯიშვილი (ზვიდუკევი), მღვდელი – მამა ევანტე მეტრეველი, მიხეილა გობეჯიშვილი (ზვიდუკევი), მამუკო ლობჯანიძე (ჩოპენი), სვიმონა გობეჯიშვილი (ბაჭილევი), მიქელა გოგრიტიანი (საგვიეთი), მამუკო ლობჯანიძე (ნანუკიანი), ივანე გავაშელიშვილი (პანტოილევი), შოშიტა გობეჯიშვილი (კუნინიანი), მიხა გავაშელიშვილი (გორტონი), სვიმონა გავაშელიშვილი (ოთუკევი), ლავრენტი ლობჯანიძე (მახუკევი), ვასილ გობეჯიშვილი (ყაწუნევი), კოსტა ლობჯანიძე (კანკალევი), ფროსინე გავაშელი-ლობჯანიძისა (ზალიკიანი), მაცხოვრის ეკლესიის მნათე ბასია (ვისიანიობა ვერ დავადგინეთ), დიანოზ გავაშელიშვილი (თამაზიკიანი), გუგუნა გავაშელიშვილი (ჯაგონი), ბოლათა ლობჯანიძე (ჩოპენი), ილიკო ლობჯანიძე (აკობევი) და მრავალი სხვა.

მკითხველს აქვე ვთავაზობთ რამდენიმე ეპიზოდს დავით ლობჯანიძის ჩანაწერებიდან.

...სოფელი ხალასავით ირეოდა. ყველა თავის აზრს გამოთქვამდა, მაგრამ ფორმა და ძალა რაიმე მოხერხებულ აზრს არ ეძლეოდა, ვინაიდან ყოველივე მათგანი ამტკიცებდა, რომ მისი ცალკე გამოთქმულა, მისი წინადადება არის მისაღები და არა სხვისი. ამ უთვალავ წინადადებას ჰქონდა ორი თავიდათავი მიმართულება: ომი მესტიასთან და უმქულთან; მეორე კი მსვიდობიანობა და მივიწყება ზარალის...

...სოფლის მოხუცები შევიდნენ შიგ ეკლესიაში, თავისი მაცხოვრის ხატი. ძალდათ, ეკლესიის გუმბათიდან, ვიწრო მაღალ ფანჯრებიდან ძირს ეცემოდა რუხე სიბნელეში დღის შუქი. სახე მოხუცების მოსჩანდა ნახევრად გაშუქებულ მენობასი რუხე-ყვითლად. რუხეკედლის ანაცური შუქი ეფინებოდა მათ სახეზე. დახოქინდი, თავდახრილნი, წინა ხაზზე იდგნენ: მამუკო ჩოპენი, დათუა, სიმონა ბაჭილევი, მიქელა საგვიეთი, ივანე პანტოილევი. უფალ ღმერთს უხდინდნენ ლოცვას. ტიხრულის შიგნით სახარებას იკითხავდა ბი-

ჭიკო გოგენი. ...მღვდელმა ევანტემ ჯოგით გადმოიარა წყაროთავს და ამოუღდა ჯვარიანას. ნელი და დინჯი ნაბოჯით მიუახლოვდა ხალხს. შევიდა გაღაგის ველზე და ვით მწუხარი მიხედა-მოხედა, მაგრამ ვერაფერი შეამჩნია. მისი ფიქრით გაღაგის შიგნით უნდა ყოფილიყოს კუბო განსვენებული. ამიტომ ჰკითხა ბასიას – ვინ მოკვდა, ვის აუგო წესი?

– მამაო მღვდლო, აქ ყველა წესსა-საკება, მხოლოდ კუბოში არ წვანან, თორემ ყველა მკვდარი. – უპასუხა ბასიამ სიმწარ-დაცინებით. მამა ევანტე განკვირებაში ჩავარდა. შემდეგ ჩააქნია ხელი და იძულებულმა ჰკითხა იქვე მახლობლად მდგომ ვასილა ყაწუნაშვილს. – მამა, რა ამბავია ამ ხალხის თავმოყრის? – მამაო მღვდლო, ხომ ხედავ ამ დაღუპულ სოფელს, მთელი ჯოგო გაიტაცეს სვანებმა, მთელი ხარის ჯოგო! მღვდელი დარწმუნდა, რომ აქ რაღაც ხიფათი მომხდარაო და ცოდვის თვალთ გადახედა კრევილით. ...შიგნით, ეკლესიაში, როცა მოხუცნი

თავდაღუბებით მაღალ ღმერთს სთხოვდნენ სვანების ჭკუაში ჩავარდნას და ხარების უკან დაბრუნებას, ევანტე მღვდელი თავისებურ გეგმას ამხადებდა. ეკლესიის ირგვლივ კი ხალხის გუგუნე არ შემერტილა... ახალგაზრდობა მოითხოვდა იარაღით გამოსვლას, ყოველმხრივ მთის საზღვრების ჩაკეტვას, რათა გახადონ იძულებული დაებრუნებინათ სვანებს ხარები...

...ვიღაც ფროსინე, ალახტოს ცოლი, დეას ყეროზე და ხელგაწვდილი მიმართავს სოფლის ქალებს:

ოო... თქვე უკეთურო თქვენეო, რა გაგიწვიათ თმა და ქორქალობო, იფოთნებით. ჭიას რომ ფეხს დააღვამ, ისიც ქვე გასმარტალდება და თქვენ კი ხომ ადამანები ხართ ხელფეხიანი, მტერი ჩვენზე უკეთესი ხელფეხიანი ხომ არ არი? გაამხნევეთ, გააფხიზლეთ ეს თქვენი ქმარ-მეილი და მტერს თვალეები დათხარეთ, ერთიორად გადაახლეინეთ. ქეთითინო და ფოთითინო თქვენ თავს ვერავის შეაცოდებთ. ოო... უშნონი ხართ, უშნონი, გაგიწყვაყე მეყარებელა, თქვენ არაფერში ხართ გამოსადეგი ღამის მეტათ. – ბევრმა შემკუხვილმა გახსნა წარბი და გულმტკივნად გაიღიმა ამ სიტყვაზე.

...სანამ ორატორმა (მალაქია გობეჯიშვილი. რედ.) სოფლის ისტორიის მიმოხილვა დაამთავრა, ხალხმა განგაშით ჩააქრო მისი ხმა. – წარსულის ქება, ტირილი და იმის მწუხრად მოყოლა ჩვენ ხარებს არ დაგვიბრუნებს! – გადმოიძახა მისამ (გორტონი. რედ.) – საჭიროა გადავწყვიტოთ იარაღით ხარების უკან დაბრუნება. – ამისთანა საქმეში არ ივარგებს სიფიცხლე და აჩქარება. – წამოიძახა რამდენიმე მდიდარი გლეხმა, – ვცადოთ ყოველი გონიერება და თუ არაფერს გასჭრის, მაშინ კიდევ მოვიძებოთ იარაღს. თანაც ფიქრობდნენ მდიდრები – „ღამის გათეული ჩხუბის ნუ გეშინიაო“. რაც რომ გვიან წავიდოდა საქმე, მით თანდათანობით შეიტანდნენ სიკრიფეს, ნება-ნებით ხალხის გულში ჩააქრობდნენ იმ საომარ პათოსს, რომელიც იყო გამოწვეული ამ აუტანელი ზარალით.

თან ჩვენი ნასწავლი მალაქია იმდეს აძლევდათ, რომ საჭიროთვალთ მთავრობას შეუძლია ეს საქმე გადაწყვიტოს უსისხლოდ და მშვიდობიანი გზით დააბრუნოს გამოწვევი ძალა სვანეთიდან.

– აი, აბერ უხუცესნი, დავავალოთ მათ ჩვენი თხოვნა, ძმური შეხვეწილი. შეიძლება იქაც – მესტიაში გამოჩნდნენ კეთილის მსურველი, დაგვემარნენ ამ საქმეში და დაგვიბრუნონ ჩვენი საქონელი. დღესაც შევადგენ დეკემს და ონიდან გადავცემ მთავრობას, ბატონ ნოე ჟორდანიას პირად და შევთხოვ ამ საქმეში დაგვეხმაროს, შემარბებელი დღეგაცია გაგზავნოს



მძახლები, მარცხნიდან: მიქელა გოგრიტიანი (საგვიეთი) და ამბაკო მეტრეველი (ჩიტოიანი) უწერიდან 1931 წ. სოფ. ურაკო

ბრძანებულების დავალებით, რომ მესტიამ დაუყოვნებლად დააბრუნოს ჩვენი საოქნელი.

მისას მოძახილი – საომარად! – შეარბილა მალაქიადან მიცემულმა საიმელო სიტყვამ, რის შემდეგაც დიდი აჟალმაყალით შეუდგა ღები ელჩების რჩევას.

შუადღის დრო იყო. მზე, დაკიდებულ იყო თავის ზენიტზე, დააწვა არემარეს, დაცხა. თელის ფოთლები შეჩერდა, ტბო, გრილი ნიავე აღარ არხვედა ხის ტოტებს. მხოლოდ ეკლესიის მაღლა დაკიდებულ სახურავის სარტყლის ქვეშ ირგვლივ ძირიდან მიტყეპებულ აყალო მიწის ბუდეებში ჭიკჭიკით ფუნჩალობდნენ მერცხლები. ყვითელ, ფართო პირგალებულ ბარტყებს დროგამოშვებით მშობლიური ალერსით დელები მიაწვდიდნენ ბუხ-პეპლებს. იქვე ზოგიერთ ბუდიდან ცვიოდა მკვდარი ბარტყები; თუმცა ძვირფასი იყვნენ დედისთვის, მაგრამ მკვდარი აჯავრის ცოცხალს და ეს პატარა ფრინველები ზუსტად ასრულებდნენ ბუნების ბრძოლის ზომებს, რომ ცოცხალთ ესუნთქოთ სუფთა ჰაერით.

რაჭველები სამეგრელოში არიან ჩასული სამუშაოს საძებნელად. ერთი მეგრული გამოელაპარაკათ, დახმარებას შეპირდათ და ბოლოს უთხრა, – აქ დამელოდეთ, ნახევარ საათში მოვალ. გავიდა 5-6 საათი, მეგრული კი არ ჩანს. – სად დაიკარგა ის კაცი, ცუდი ხომ არაფერი დაემართათ? იკითხა დალაკომ.

– დაკარგულები ჩვენა ვართ, თორემ მეგრულს სამეგრელოში რა დაკარგავსო, – მიუგო რაიკომ.

მამა სპირიდონი

დიდა ღვაწლი ხუციანთ გავაშელიშვილებისა ბოლო საუკუნეების ღებულთა სულიერ ცხოვრებაში. დასაჩინა მხოლოდ, რომ 1795 წლამდე, ვიდრე მამა სპირიდონ ნექტარიონის ძე გავაშელიშვილი შეუდგებოდა მაცხოვრის ეკლესიის წინამდგრობას, უცნობია ჩვენთვის, თუ ვინ იყვნენ მისი წინამორბედნი.

ოჯახური ტრადიცია გააგრძელა დიდი სპირიდონის შვილიშვილმა და მოსახელემ – სპირიდონ პეტრეს ძე გავაშელიშვილმა. როგორც მამა მიხეილა, მამა სპირიდონმაც თბილისის სასულიერო სემინარია დაამთავრა და მოღვაწეობას შეუდგა რაჭის სოფელ ფარახეთის მთავარანგელოზის ეკლესიაში 1892 წელს. 16 წელი დაჰყო მთავარანგელოზის ტაძრის წინამდგორად მამა სპირიდონმა და უდიდესი სიყვარულით დაიმსახურა ადგილობრივ მოსახლეობაში. სასიამოვნოა, რომ დღესაც იციან და არ ივიწყებენ ფარ-

ახეთელები ამ დიდებული მღვდლის ღვაწლს. 2005 წელს, ფარახეთში ყოფნისას, სოფლის მკვიდრმა მოსახელემ თენგიზ ტაბუცაძემ ჩემთან საუბარში უმაღლე მამა სპირიდონი გაიხსენა და მითხრა – ღებული თუ ხარ, შენც უნდა იცოდე მისი კეთილი ნამოღვაწარი.

მამა სპირიდონი ოჯახით ცხოვრობდა ფარახეთში. მეუღლე სალომე და შვილები (ეფროსინე, პელო, კატო, ვალენტი, ზინა, სოვრატო...) ისევე ამშვენებდნენ ფარახეთს, როგორც მათი მეუღლე და მამა. ამ ოჯახში აღიზარდა ღებულთა ერთ-ერთი გამორჩეული და საყვარელი შვილი, ფართოდ ცნობილი ექიმი სოვრატ გავაშელი. მამა სპირიდონის შვილიშვილი გახლდათ მოსკოვში მოღვაწე ქართველი ფილოსოფოსი, პროფესორი გენადი გურგენიძე (ჟურნალ „–ს სარედაქციო კოლეგიის წევრი), რომელიც სამეცნიერო ასპარეზზე ბიძამ

– სოვრატ გავაშელმა გაიყვანა.

1908 წელს მამა სპირიდონი დაბრუნდა ღებში, სადაც გარდაცვალებამდე (1912წ.) მაცხოვრის ეკლესიის წინამდგრობდა.

დაკრძალეს ეკლესიის ეზოში (ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს). იგი იყო პირველი და უკანასკნელი მოძღვარი, რომელიც ჯვარიანის მიწამ მიიბარა. მისი საფლავის ადგილი ჩვენთვის ცნობილია.

1916 წელს ასევე ეკლესიის ეზოში (ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით) მიუჩინეს განსასვენებელი პირველ მსოფლიო ომში დაღუპულ ხარკოვის საინჟინრო ინსტიტუტის სტუდენტს იასონ ლობჯანიძეს (ქეხსურეთი). მოგვიანებით, მის გვერდით დასაფლავდა მამამისი, დიაკონი მაქსიმე. 1960-იან წლებში მათი ცხედრები გადაასვენეს სხვა სასაფლაოზე. ასე რომ, დღეს მხოლოდ მამა სპირი-

დონი განისვენებს მაცხოვრის ადლომის ეკლესიის ეზოში, რომლის კეთილმოწყობისას აუცილებელია ამის გათვალისწინება. უნდა დამზადდეს საფლავის ქვა წარწერით და დაიდოს თავის ადგილას, რასაც დიდი ხანია იმსახურებს სულკურთხეული სასულიერო მოღვაწე. ეს ჩვენი ვალიცაა, ერთი საფლავი მაინც შემოვუნახოთ მომავალ თაობებს იმ უამრავი მოძღვრიდან, ღებულთა მაცხოვრის ეკლესიაში რომ უმოღვაწეოთ საუკუნეთა განმავლობაში.

უმორჩილესად ვთხოვთ ყველას, ვისაც სურვილი და შესაძლებლობა გააჩნია მამა სპირიდონის საფლავის მოსაწყობად, შემოგვეხმაროს და ერთად ვიზრუნოთ ამისათვის.

თამაზ გობეჯიშვილი

ტელ: 63-07-88
895-63-03-77

ფ ა ლ ა გ ნ ე ბ ი

ჩვენი გაზეთის წინა ნომრებში დაიბეჭდა რამდენიმე ნოველა დიმიტრი ლობჯანიძის მხატვრულ-დოკუმენტური წიგნიდან „ქართველები ქლუხორში“. ამჯერად შემოკლებით გთავაზობთ მოთხრობას – „ფალაგნები“.

* * *

...კულტურული ღონისძიების ჩასატარებლად მზისას (სოფელი ქლუხორის რაიონში, სადაც 1944 წელს ღებელები ჩაახახლეს. რედ.) ქსტავროპოლიდან საცირკო ხელოვანთა ჯგუფი ეწვია, რომლის ერთ-ერთი წევრი ძალოსანი, წარმოშობით ქართველი კახეთელი იყო (ლავრენტი კახეთელი რაჭის სოფელ სამთისადან გახლდათ. რე.).

ეს კახეთელი იყო, მზისაში რომ საცირკო ნომრები გამართა, ცალთვალი იყო. ქვემოთ რასაც ვიტყვი, არ ვიცი, რამდენად შეეფერება სინამდვილეს, მაგრამ ვიღაცამ თქვა და მეც დღემდე დამამახსოვრდა: თურმე, კახეთელი იყო ახალგაზრდობაში ბეჭდაუდებელი ფალაგანი ყოფილა. ერთ-ერთი შეჯიბრის დროს მისგან დამარცხებულმა მოწინააღმდეგემ მარცხი ვერ აიტანა, შურისძიების მიზნით სახეში თითი ატაკა და თვალი გამოთხარა. ამას კახეთელი იყო გაუმწარებია, რომ მეტოქე ადგილზევე მოუკლავს. ჭიდაობა მიუტოვებია და ამის შემდეგ ცირკში დაუწვია მოღვაწეობა.

ამ ამბიდან თითქმის ერთმა თვემ გაიარა. ერთ კვირა დღეს, მზისელი გლეხკაცები, ჩვეულებისამებრ, სოფლის წყაროსთან, ხეების ჩრდილში იდგნენ და მშვიდად საუბრობდნენ. ჩვენ, ბიჭებიც, იმ დროს იქვე ვტრიალებდით.

ისე მოხდა, რომ უფროსებიდან, ვიღაცამ კახეთელი იყო ახსენა და თითქოს სხეთაშორის იკითხა, როგორ გგონიათ, კახეთელი იყო და კოსტა მისურაძე ერთმანეთს რომ დაჭიდებოდნენ, რომელი მოერეოდა... მახსოვს, როგორც ასეთ შემთხვევებში ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, აზრი ორად გაიყო. მომხრეები და მოწინააღმდეგეები ერთსაც აღმოაჩნდა და მეორესაც. მაგრამ კოსტა მისურაძის დასაცავად სხვებზე მეტად თავი ეგნატე ლობჯანიძემ (ზარმანეეტი) გამოიღო. რას ამბობთ, კოსტას მომრევი მსოფლიოში არავინ იყო და კახეთელი იყო ჭიდაობაში მასთან როგორ მოვიდოდა.


– შენ ისე ლაპარაკობ კოსტა მაისურაძეზე, თითქოს პირადად იცნობდი, – რატომღაც ერთგვარი ჯიბრითა და

გალიზიანებით შეედავა ეგნატეს მასზე ბევრად ახალგაზრდა ეგრეზი გავეშეღიშევილი.

– პირადად რომ ვიცნობდი, ამიტომ ვამბობ, კოსტას ჭიდაობაში ბადალი არ ჰყავდა-მეთქი. – ისე მიუგო საკამათოდ შემართულ-მოწარწულ ეგრეზის ეგნატემ, მის სიმართლეში ეჭვს ვერავინ შეიტანდა. თავისი ნათქვამის დასტურად კოსტა მისურაძის ცხოვრებიდან აქამდე უცნობი ეს ეპიზოდი გაიხსენა:

– კოსტა მისურაძე რევოლუციამდე კისლოვოდსკოში გავიცანი. მაშინ 15-16 წლის ბიჭი ვიყავი. ისიც დაახლოებით ამ ხნის იქნებოდა და ერთ-ერთ იქაურ სამზარეულოში დამხმარე მუშაც იყო და შევირდიც. მაშინ ასე იყო მიღებული, ამ ასაკის ყმაწვილებს, რასაც დაგვაგალებდნენ, იმას ვასრულებდით.

მახსოვს, სამზარეულოში კერძების



მოსახარშად უზარმაზარ ქვაბებს ხმარობდნენ. თითოში დაკლული ხარიც ადვილად ჩაეტოვდა. როდესაც იმ ქვაბებს წყლით აავსებდნენ, ღუმელზე შემოსადგმულად, კარბაში რკინის კეტს გაუყრიდნენ და ადგილამდე ოთხ-ხუთ კაცს ძლივს მიჰქონდა. კოსტა კი ამ ქვაბს მარტო დგამდა ღუმელზე.

ჭიდაობით მაშინ არ ჭიდაობდა. მაგრამ ერთმა სრულიად მოულოდნელმა შემთხვევამ კოსტას ჩვეული ცხოვრების წესი სრულიად შეცვალა,

ლა, ბუნებით ნაბობები ნიჭი და მოწოდება აპოვინა, რითაც შემდეგ სახელი მთელ მსოფლიოში გაითქვა.

მაშინდელ კისლოვოდსკოში შაბათ-კვირას სხვადასხვა სახის სანახაობები და ახარტული თამაშები იმართებოდა. მათ შორის შეჯიბრებები ჭიდაობაში. ჭიდაობის მოყვარულები საჭიდაო მოედანს განსაკუთრებით მას შემდეგ მიეძღვნენ, რაც ქალაქში რუსეთის პროფესიონალ მოჭიდავეთა ერთი ჯგუფი გამოჩნდა. ამ ჯგუფს თავისი განსაკუთრებული პროგრამა ჰქონდა და არჩეული ხელმძღვანელიც ჰყავდა. ჯგუფის წევრები სანაძლეოზეც ჭიდაობდნენ, დიდ თანხაზეც, ერთმანეთში პირველობის დასამკვიდრებლადაც, ინტერესის გამოც და ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშეც.

ჯგუფის ხელმძღვანელი მაყურებლის წინაშე გამოვიდოდა და მოუწოდებდა, ვისაც სურვილი გაქვთ და გულიც გერჩით, ჩვენს მოჭიდავეებთან თქვენი ძალა, შესაძლებლობა შეამოწმეთ, გამარჯვებული, სახელთან ერთად, ფულად ჯილდოსაც მოიპოვებთ.

...როცა რამდენიმე წვეტილი იჭიდავა, ყველასთვის მოულოდნელად, საჭიდაო წრეში კოსტა მისურაძე გადავიდა. ჯგუფის ხელმძღვანელმა, წესისამებრ, მასაც ჰკითხა, ვისთან გსურს ჭიდაობაო. კოსტამ თამამად მიუგო, შენთანო.

ამგვარმა დაუფიქრებელმა სითამამემ ერთ შენისთანა ბიჭს წინა შაბათს კისერი მოატეხინა. ფრთხილად იყავი, შენც იგივე არ დაგემართოსო, მუქარით გააფრთხილა კოსტა მოწინააღმდეგემ. კოსტას პასუხი არ გაუცია, არც გადაწყვეტილება შეუცვლია.

შერკინებიდან რამდენიმე წუთში მოწინააღმდეგეს შეეტყო, რომ ახალბედა მოჭიდავის დიდი ფიზიკური ძალა იგრძნო და სიფრთხილეს უმატა. თუმცა, ამან მაინც ვერ უშველა. არავინ იცოდა, შემთხვევით მოხდა თუ კოსტამ იმარჯვა, ალბათ, ერთიც იყო და მეორეც. იგი მოწინააღმდეგეს წელში შეუვარდა და თავისი გოლიათური ძალით ისე შებოჭა, რომ ამ უკანასკნელმა მკლავები ჩამოყარა და ვერავითარი ილეთის გამოყენება ვერ შეძლო. კოსტამ მეტოქე ადგილიდან მოსწვევითა და მიწაზე ისეთი ძალით დაანარცხა, წაქცეულმა გრძნობა დაჰკარგა და განძრევა ვერ შეძლო. მაყურებელს აღტაცების შეძახილები ამოხდა.

ამის შემდეგ, დიდხანს არ გაუვლია,

იმ გუნდმა კისლოვოდსკოი სამუდამოდ დატოვა.

ეს იყო კოსტა მისურაძის პირველი ჭიდაობა და პირველი გამარჯვება. შემდეგ მან ყველაფერს თავი დაანება, ჭიდაობას მიჰყო ხელი და საქვეყნოდ ცნობილი ფალაგანი გახდა. ყველაფერი ეს ასე იყო, როგორც გვიამბოვს, ვინაიდან რაც ვთქვი, ჩემს თვალწინ მოხდა. ისეთი დაბეჯითებით განაცხადა ეგნატე ბიძიამ, რომ საწინააღმდეგო თქმა არავის უცდია.

ეგნატე ლობჯანიძის ეს ნაამბობი, როგორც დამამახსოვრდა, ისე გადმოვეცი. მონათხრობისათვის არც რამე დამიკლია და არც მიმიმატებია. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, კოსტა მისურაძის სპორტულ ბიოგრაფიაში ეს ფაქტი არსად არ არის აღწუსებული. იგი შთამომავლობას რომ არ დაკარგვოდა, ამიტომ გადავწყვიტე მისი აქ მოთხრობა. ამასთან ერთად, ამაზე ფიქრი არ მასვენებდა, ეს ნაამბობი რამდენად შეეფერებოდა სინამდვილეს. ამასაც ვფიქრობდი, ამ ამბის მომსწრე რომ არ ყოფილიყო, ასეთ რამეს საიდან გამოიგონებდა, ან რისთვის სჭირდებოდა მისი შეთხზვა.

ხანდაზმულ ღებელებს და, ასევე, ჭიორლებს კიდევ ერთხელ გამოგვითხე ეს ამბავი და რამდენიმე დამიდასტურა, სრული სიმართლეა, ყველაფერი სწორედ ასე იყო, კოსტა მისურაძემ პირველად ნამდვილად კისლოვოდსკოში იჭიდავაო.

დიმიტრი ლობჯანიძე

რედაქტორისაგან:

დიმიტრი ლობჯანიძის მიერ აღწერილი ეგნატე (გნატე) ლობჯანიძის ნაამბობი რომ სიმართლეა, რამდენიმე ხანდაზმული ღებელისაგან მეც მსმენია, მათ შორის ბაბუაჩემისაგანაც. მათ კარგად იცოდნენ კოსტა მისურაძის სპორტული მიღწევები და ისიც, რომ კოსტამ სწორედ კისლოვოდსკოში დაიწყო დიდ არენაზე აღმასვლა. ისიც იცოდნენ და ეამაყებოდნენ კიდევ, რომ მსოფლიოს რომელ საჭიდაო არენაზეც კი კოსტა მისურაძე გამოჩნდებოდა, იქ გამოჩენილი რუსი მოჭიდავე იგან პოდუნინ თავს არიდებდა ჭიდაობას და არასდროს შეხვედრია ჩვენს ბეჭდაუდებელ ფალაგანს პირისპირ.

დაუმარცხებელი მოჭიდავე (რაც ძალზე იშვიათობაა მსოფლიო სპორტის ისტორიაში) 1918 წელს, 36 წლის ასაკში გარდაიცვალა ბაქოში ტიფით.

იქ, სადაც იბადება რიონი

გაზეთზე მუშაობის დროს შემატყობინეს სამწუხარო ამბავი – ბაგრატ გობეჯიშვილის (ყაწუნეთი) გარდაცვალება.

ისედაც შემცირებულ მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ღებელებს (შეგახსენებთ, რომ 700-ზე მეტი ღებელი ვაჟკაცი იბრძოდა ომში და მხოლოდ რამდენიმეა ცოცხალი) ბაგრატიც გამოაკლდა 87 წლის ასაკში და სულეთის ბინადარი გახდა.

ამ ამბავმა უმაღლე გამოახსენა ღვეან ფრუიძის შესანიშნავი წიგნი – „იქ, სადაც იბადება რიონი“. ცნობილი მკვლევარის ნაშრომი რაჭის პრობლემატურ საკითხებს ეხება, სადაც დიდი ადგილი ეთმობა ღებს, მის განუმეორებელ სილამაზეს, ისტორიას, ეთნოგრაფიულ ყოფას, ტურიზმის განვითარებას და ა.შ. რიონის ხეობის დათვალიერებისას მეცნიერს მეგზურობას სწორედ ბაგრატ გობეჯიშვილი უწევდა, რასაც დიდი სითბოთი და სიყვარულით ასახავს წიგნის ფურცლებზე ავტორი.

ქვემოთ მოგვყავს რამდენიმე ამონარიდი წიგნიდან.

* * *

...გვესაუბრება ბაგრატ გობეჯიშვილი, რომელიც რიონის სათავეებში, გორბოლოს ტურისტთა თავსებაფარს ხელმძღვანელობს: – ოცდასამი წელია აქ ვტრიალებ და ვხედავ, ედენას სკორე თვალნათლივ იღვევა,

კლდე გაქანლდა და ვერძისშუბლებმა წინ წამოიწიეს. მათი სიმრავლე კი ეინულების სიკვდილის დასაწყისია. სკორეს გაქრობა მდინარეთა მკვებავი წყაროების დაშრეტას ნიშნავს. ბუნების წონასწორობა ირღვევა და

ჩვენ ჯერჯერობით მაურებლის როლში ვართ, თუმცა შეუძლია კი ადამიანი რაიმე იღონოს? ნეტა რაც კაცს ძალეობს, იმას აკეთებდეს და ედენას სკორე მოითმენს, მილიონ წელიწადს მაინც იდგაფუნებენ მისი ჩანჩქერები...

...1986 წლის 9 აგვისტოა. ცხრათვალა მზე ფასის მთის ცხრაწაროს გვირგვინად ადგას. უნახეს ზეფირს ზორფასას ზურმუხტოვანი ველობებიდან თაფლის თუ საკმევლის დამათრობელი სურნელი მოაქვს. ლოდზე ვდგავარ, სწორედ მის უბეში ერთდება წყაროთა ნაქური და მძლავრ რუდ – რიონად სახელდებული ახალ სიცოცხლეს იწყებს.

– რატომ უნდა დარქმეოდა ფასის რიონი? ფიქრებში წასული კითხულობს ბაგრატ გობეჯიშვილი და ჩემთან ერთად მსჯელობს:

– ფასი-ფასა ამ მდინარის მშობელი

მთის სახელია. ეს რომ შემთხვევითი არ არის, აი ამ ტაფობს, რაც მწვანითაა მოსილი ზორფასა ჰქვია. ზორფასაში უმეინვარო ფასის მთის ყველა წყარო იკრებება და ასე წარმოიშობა ფასისი, შემდგომ რიონად წოდებული. რიონი ფასისის წყალია, „ის“, რამდენადაც ვიცი, ქართულში კუთვნილებას გამოხატავს, მაგრამ ვინ დაამტკიცა რიონი ფასისზე გვიანდელიაო. მახსოვს ბატონო, ამ სიტყვას ნამეტანი ჭკვიანი მეცნიერები ინდოევროპულობას აბრალდებენ, იქნებ ეს ასეა, არავის ვეკამათები, ოღონდ რაჭაში გაბატონებულ „რუს“ რა ვუყოთ, „რუ“ ჰქვია დღემდე მოზრდილ და მდინარეზე მომცრო ყველა ბუნებრივ ნაკადს. ქართული ენის კანონების საიდუმლოებას დაუფლებული არა ვარ, თუმცა სიცოცხლესავით მჯერა, რომ რიონი „რუონია“ – ჩვენებურ რუთა

გავრძელება 6-ე გვერდზე

გრიგოლ გოგრიჭიანის საბედისწერო მგზავრობა

1920 წლის გაზაფხულზე, ერთმა შესანიშნავმა ღებელმა, გრიგოლ მამუკოს ძე გოგრიჭიანმა (ჩხუტეენტი) და ონელმა ებრაელმა კაცმა ფასის მთის უღელტეხილი გადმოლახეს ფეხით, ჭარიჭვას ჩამოვიდნენ და ღების გზას დაადგინენ. იმ დროს ჭარიჭვას მესახ-ღვრეები იდგნენ. ერთ-ერთმა ავაზაკმა „მესახღვრემ“ გაუგონარი სისაძაგლე ჩაიდინა, რასაც ვრცლად აღწერს ამ ამბის მომწერე გრიშა ლობჯანიძე (ჯოტეენტი).

გთავაზობთ მის მონათხრობს შემოკლებით.

...გრიგოლა გოგრიჭიანი პატარა ღებში ცხოვრობდა. ამ დროისათვის გრიგოლა 45 წლის ასაკში ყო. მას ყავდა ორი ვაჟიშვილი და ბევრი ქალიშვილი. თვითონ გრიგოლა უზარო, დაუღალავი გლეხი კაცი იყო. მას ეს-მოდა ავიც და კარგიც...

...ნაღიკიდან გრიგოლა ბაღყარ სოფელში ამოვიდა. ამხანაგს ეძებს, საქართველოში მომავალ მგზავრს. უამხანაგოდ ფასის მთაზე მგზავრობა ძნელია. იქ აღმოჩნდა ერთი კაცი ებრაელი, რუსეთიდან მომავალი ონში მოდის. მან ნახა გრიგოლა, გაეხარდა და უთხრა, საქართველოში მგზავრობაში მეც შენი ამხანაგი ვარო.

მეორე დღეს ორივე სოფ. ბაღყარი-დან თაღყანის ქვაბში შემოვიდნენ; დამე იქ გაათიეს. დილაში ადრიანად ადგნენ და ფასის მთის აღმართს შემოუდგნენ. გადმოიარეს ფასის მთა, ჩამოვიდნენ დაბლობ ადგილზე, თოვლიანი მთა უკან მოიტოვეს და ფეხი მიწაზე მოიკიდეს. მაშინ გრიგოლამ ქუდი მოიხადა, ილოცა და ღმერთს მადლობა მოუხადა, რაკი მშობლიურ მიწაზე ფეხი დადგა; გული დაუმშვიდდა, აღარ მოეღის ხიფათს, ახლა ის ღების კუთვნილ ადგილ-მდებარეობაზეა. თუ გინდა თავის სახელში იყოს და იქვე ბუხარს უჯდეს ცოლ-შვილთან ერთად. ასე მიანია გრიგოლას, მაგრამ იმას კი აღარ ფიქრობს, რომ ხოჯჯერ შინაური მტერი უარესი არის გარეშე მტერზე.

გრიგოლამ და მისმა ამხანაგმა, როგორც დააწიეს მდ. რიონის პირად, ხედავენ ჭარიჭვას მიდამოებში მესახღვრეების პლაშ-კარგებია. არც მიუღწევიათ ჯერ კიდევ მათთან, რომ

გუშავმა დასტვინა, შეაჩერა მგზავრები, მივიდა მათთან, მიმიზნებულნი თოფი ხელში უჭირავს და კამანდრობს – იარეთო! მან მიიყვანა უფროსთან ეს ორი მგზავრი და ჩააბარა მას. უფროსმა გასცა განკარგულება – განხრიკეთ, ვინ იცის, შეიძლება რუსეთმა მზვერ-აგები გამოგზავნა, უნახეთ საბუთებიო. ნახეს საბუთები. უფროსი უბრძანებს თავის ადიუტანტს – ტანსაცმელშიგინი საცვლებიც განხრიკეთო! გახდეს მგზავრებს ტანსაცმელი, საცვლებზე ემ-ნევათ, რომ რაღაც პარტუკები აქვთ შემოკრული. ეს პარტუკები შემოიხსენით და აქ გადმომეცითო. მგზავრებმა შემოიხსენეს და გადასცეს. უფროსმა გახსნა და აღმოჩნდა, რომ რამდენიმე ქაღალდის ფული დევს სულ ას-ას მანეთიანები. უფროსმა ეს ფული მგზავრებს დაუბრუნა უკან და უთხრა, – თავისუფალი ხართ, შეგიძლიათ წახვიდეთო. მგზავრებიც წამოვიდნენ ღებისკენ, მაგრამ ნახევარი კილომეტრიც არ გაუვლიათ, რომ თავისი ადიუტანტების შეუძნეველად, უფროსი მგზავრებს უკან დაუდევნა. დაეწია მათ, დააცილა გზას, მიმართულება მისცა უზო-უკვლო შავდაბურულ ტყეში და ტყვეში მდ. რიონის მარცხენა გვერდზე, საქარავნო გზა კი რიონის მარჯვენა ნაპირზე მიდიოდა. ერთი სიტყვით, უფროსმა აუბნია მათ გზა ისე, რომ ხორციელ ადამიანს არავის დაენახოს. ამ ჟანდარში რევოლვერი ხელში უკავია და მიმიზნებულნი აქვს მათზე. გრიგოლა ხვდება, რომ საქმე ცუდად მიდის... ჟანდარმა პირველად გრიგოლას დაუმიზნა რევოლვერი თავის ქალაში. გრიგოლამ მუხლი მოიყარა მის წინაშე და შეეხვეწა, შეხედე ღმერთს, ნუ მომკლავ, ნუ დაიდებ ჩემი წერილი ცოლ-შვილის ცოდვას, ეს ფული წაიღე მთლიანად, მხოლოდ ნუ მომკლავ, სული შემარჩინეო. დანავსულმა ჟანდარმა გრიგოლა არ შეიწყინარა, მიარტყა ტყვია თავის ქალაში... ამის შემხედვარე ებრაელმა ყვირილი მორთო, ვაი შენ ჩემო თავო, ჩემო ცოლ-შვილო, დაღუპ... ვეღარ დაამთავრა საბოლოო სიტყვა, უღმობელმა უფროსმა უბიძგა ტყვია გულში ებრაელს და იქვე ჩაიკეცა ღვაგაშივით. მათი ნაშრომი ასმანეთიანებად შეკრული ფული ამოაცალა უბიდან და ჩაიდო ჯიბეში... შემდეგ მოკლული მგზავრე-

ბი ჟანდარმა რიონს მისცა. თვითონ კი თავის პოსტზე წავიდა, ვითომცდა აქ არაფერიყო. ასე უღმობელად დაღუპა ორი ოჯახი ავაზაკმა. მან ჯამათას დიდად გადააჭარბა. მართალია, ჯამათა მარცხავდა ხალხს, მაგრამ კაცი არ მოუკლავს.

...ეს ამბავი ჯერ არავინ არ იცის, თუ გრიგოლა მისის თვიდან ივლისის 20 რიცხვამდე წყალშია. მხოლოდ მისი ცოლ-შვილია განცვიფრებაში, ამდენ ხანს რომ კაცი აღარა ჩანს. ნაღიკში აცნობეს ღებიდან, მის ახლობელ ნათესავებს, სადაც ღებზე ათევედა. მათ უპასუხეს: გრიგოლა უკვე მისის თვეში, ფასის მთის გზით, საქართველოში წამოვიდაო. თავზარი ესხმის მის ცოლ-შვილს, ერთი ჩონჩხილია ოჯახში. მთელი ღები ეჭვშია, რომ გრიგოლას საქმე საკეთილდღეოდ აღარ იქნება, მაგრამ არ იციან, ბაღყარეთში შეხვდა ხიფათი თუ ფასის მთის ყინულებში.

...ბატალიონის ჟანდარმი უფროსი ყოველ კვირას ჭარიჭვას პოსტიდან ჩამოდის ონში, სამი-ოთხი დღე იქიფებს ხეთქაზე თავისი ნაცნობებით, მერე ისევ პოსტზე წავა, ერთ-ორ დღეს დაყოფს იქ და ისევ ონში წამოვა საქეფოდ. რესტორანში რომ ზის, ფულს უხვად ხარჯავს. ყველას უკვირს იქ დამსწრეთ, რომ სულ ას-ას მანეთიანებს ისერის პურმარში, მაგრამ იმას ვერაინი მიუხვდა თუ ჯარისკაცს საიდან უნდა მოეპოვებოდა ამდენი ფული, რომ ასე თარეშობს ონის და ქუთაისის რესტორნებში. მისმა თარეშმა ღებელებიც კი გააკვირვა. მე 15 წლისა ვიყავი მაშინ, მაგრამ მახსოვრობა კარგი მაქვს. ეს ამბავი რომ იწერება 65 წლისა ვარ. როგორც დღეს დღეს მახსოვს ყველაფერი, ისე მაშინდელი მდგომარეობა გრიგოლას შესახებ, ყველაფერი უკლებლად მახსოვს.

...ერთ დღეს, როდესაც ონში ქეიფობს ეს გარეწარი, დიდი სმის შემდეგ მაგიდაზე დათვლიმა, მერე ას-მანეთიანი ჯიბიდან ამოიღო და ოფიცინარს უძახის, მოიტანე ღვინო და პურმარშილო. ამხანაგები უბნებიდან, ფული ჯიბეში ჩაიდგა, ახლა მეტი აღარ გვინდა, ეგ ფული ხვალისთვის შევიწახოთო.

– რა? ხვალისთვის შევიწახოთო? ასე გგონიათ, რომ ხვალისთვის ფული

არ მქონდეს, თქვენ ჯერ კიდევ არ იცით, ორი კაცი ვინადირე, მილიონი ფული ჯიბიდან ამოვაცალე. დედავ, დედავ, როგორ მეხვეწებოდა ერთი მათგანი, ნუ მომკლავო. მერე ის რომ მოკვალი მეორემ ყვირილ-ტირილი მორთო...

აქ მისი სიტყვები ოფიცინარებმა გაიგონეს. დაინტერესდნენ, როგორ, სად და ყველაფერი თვითონ დაამღერა ავაზაკმა. ეს მისი ნაამბობი ერთ ღებელ კაცს უთხრეს, იმან მეორეს, მერე მეორემ მესამეს და მალე მთელ სოფელს შეეყურა. ეს ამბავი კიდევაც გააცხადეს, მაგრამ ავაზაკი უკვე გაპარულიყო სამეგრელოში. ონის თანამდებობის პირებს შეეძლოთ გაქცეული დაეჭირათ და სასჯელი მიეცათ, მაგრამ არ მოინდომეს, გულცივობა გამოიჩინეს. სამწუხაროა, რომ მკვლე-ლი დაუსჯელი წავიდა.

...მთელმა ღებელმა მამაკაცებმა წერაქვი და ბარი აიღო ხელში და გაუდგნენ საქებნელად რიონის სანაპიროზე. ორი დღე ეძებეს, ბოლოს ნახეს გრიგოლას ნეშტი მდ. რიონში. ცოტა მოშორებით ონელი ებრაელიც ნახეს. მისი ნეშტი შეიღმა ონში წაიღო დასამარხად. გრიგოლს ნეშტი კი პატარა ღების სასაფლაოზე დაკრძალეს.

...გუსურვით გრიგოლას შთამომავლობას სამაგიეროდ წარმატება ჰქონდეთ მომავალში.

შენიშვნა: გრიგოლას მემკვიდრეები არიან სარდიონა და გერონტი ჩხუტეენტი.

*გრიშა ლობჯანიძე
ქ. ნაღიკი 1970წ.*

გრიგოლ გოგრიჭიანის ცხედრის მოძიების გრიშა ლობჯანიძისაგან ოდნავ განსხვავებული ვერსია გააჩნია 87 წლის შალიკო გოგრიჭიანს (ჩხუტეენტი), რაც სხვებისაგანაც მსმენია ადრე. ეს ასე ყოფილა: რამდენიმე დღის შემდეგ მამაკაცები სოფელში ჩამოსულან სულის მოსათქმელად. ბიძაშვილ ზაქარას სიზმარში გამოცხადებია გრიგოლი და უთქვამს – რატომ მიატოვეთ ჩემი ძეგნა, ამა და ამ ადგილას ვარ და იქ მეძიეთო. მეორე დღეს მართლაც უპოვიათ იმ ალაგას.

მოსაგონარი

ბედნიერია კაცი, რომელიც უზენაესისაგან ბოძებულ ნიჭსა და ენერჯიას სოფელ-ქვეყნის სამსახურში მიუჩენს ადგილს. ბევრი ასეთი ღებელი გვახსოვს ან ბევრი რამ გვსმენია მათზე. ასეთი გახლდათ პედაგოგი ვახტანგ სევერიანის ძე ლობჯანიძე (ქეხსურეეთი), ღირსებით შემკული ღებელი კაცი, რომელმაც 2007 წელს, 76 წლის ასაკში დატოვა საწუთრო და სულეთში გადასახლდა.

გვიტოვს წარმოდგენა იმისა, რომ ვახტანგი ჩვენს შორის აღარ არის, მაგრამ რაკი არსთა გამრიგემ ასე იხება, თავს იმით ვიმშვიდებთ და გვჯერა – იმ ქვეყნიდან გვეფერება და გვლოცავს კეთილი გულით. ჩვენ კი, სანამ ამქვეყნად დავიდვართ, მისი ასეულობით ნამოწაფარი თუ თანასოფელი, არასოდეს მივცემთ დავიწყებას ამ ჩინებულ ადამიანის ხსოვნას.

დალხენილი ბავშვობა დედის ნაადრევმა გარდაცვალებამ გაუფერმკრთალა. ახალგაზრდული წლების სიამე კი მოულოდნელად შეცვალა 1951 წლის ყოვლად უსამართლო და

ვახტანგ ლობჯანიძე

გაუგონარმა გადასახლება ყაზახეთის ტრამალებში (მამის ელასოველობის გამოგონილი ბრალდებით). იქიდან დაბრუნებულმა სწავლა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში გააგრძელა.

1956 წლის მარტის მოვლენების დღეებში, გორის სტუდენტთა დელეგაციასთან ერთად, ჩადის დედაქალაქში საპროტესტოდ და საკუთარი მგზნებარე ლექსითაც მიმართავს შეკრებილ ხალხს მაღალი ტრიბუნიდან. ასეთი შემართული იყო ყოველთვის...

1957 წლიდან ვახტანგ ლობჯანიძე ღების საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელია. მოსვლისთანავე გამოაცოცხლა სოფლის მინავლებული სპორტული და კულტურული ცხოვრება. სისხლსავსე საქმიანობამ მოიცვა სპორტული მოედნები და კულტურის სახლის სცენა... და ეს გრძელდებოდა ათწლეულების მანძილზე.

უნარიანმა და დაუღალავმა შრომამ დიდი დაფასება შესძინა ჩვენს კუთხეში.

მოგვიანებით ბ-ნი ვახტანგი რუსული ენისა და ლიტერატურის მას-

წავლებლობასაც ითავსებს. დიდხანს იმუშავა საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ. თითქმის ორმოცი წელი დაჰყო პედაგოგიურ ასპარეზზე და, შესაბამისად, უამრავი კარგი საქმის გაკეთებაც მოასწრო.

უზომოდ უყვარდა ღები და ღებელები, მათთან ჭირისა და ღების გაზიარება. კარგად გრძნობდა სოფლის სურნელებსა და ღებათს. სიამოვნებას გვრიდა ღებური ალოთავი. დიდ სულიერ კმაყოფილებას ანიჭებდა ქართული სუფრა და მოღებენა. იცოდა ჭეშმარიტი მეგობრობის ფასი და ბევრი მეგობარიც ჰყავდა. მშვენიერ ლექსებს წერდა, რომელთა დეკლამაციონიც, არც-თუ იშვიათად, თვითონ იყო...

როგორც თავისი ქვეყნის ბედზე მოფიქრალი პატრიოტი, მტკივნეულად განიცდიდა ბოლო დროის მოვლენებს და გულნატკენიც წავიდა წუთისოფლიდან.

კარგმა მეოჯახემ ოჯახიც კარგი დაგვიტოვა. მეუღლე, შვილები და შვილიშვილები არასოდეს მოაკლებენ სანთელ-საკმეველს ვახტანგის სულს.

1911 წელი. ონის ოთხკლასიანი სასწავლებლის მასწავლებელმა ლონგინოზ კიკვიძემ გააკეთილადან გააძევა სკოლის ინსპექტორი, კაპიტანი მურეჟოვსკი.

ინსპექტორმა არაერთხელ შეადგინა დასმენა კიკვიძეზე. ის მოითხოვდა ამ მასწავლებლის, როგორც გამოუსწორებელი ნაციონალისტის მოხსნას. შეურთავებელ ბრძოლას მურეჟოვსკისა და მის მხავს ბუროკრატების წინააღმდეგ ეწოდნენ სხვა მასწავლებლებიც: აურასიონ და მალაქია ჯაფარიძეები (ონი), ალექსი და მალაქია გობეჯიშვილები (ღები), ვლადიმერ ფოფხაე (კვაცხოვი), თეოდორე ტრაპაძე (ბატარა ონი). კარგად მუშაობდნენ აგრეთვე ვლადიმერ ქელიძე (ბუგეული), მათე გორდუნიანი (ონი), მელიტონ სნარტლაძე (მრავალკლასი), გიორგი სოსხაძე (მეფარწმინდა), გელეონ მესხი (დადიშა).

თვითმხილველის, პროფესორ აბელ კიკვიძის უფროსი ძმის, ბესარიონის, ნაამბობიდან.

მიხეილ გოგრიჭიანის (მამუჩიანთი) მიერ წარმოთქმული ლექსი ლევან გავაშელის (ქუტუნეთი) დაკრძალვისას (იბეჭდება შემოკლებით)

დაგლოცავთ ჭირისუფალნი
ღების კაცით და ქალებით,
დაგლოცავთ ყველას, სტუმრებო,
მაგ ნაღვლიანი თვალებით.

გარდაიცვალა ლევანი,
ხმა დარხეულა ყველაგანა,
მწუხარებისთვის მოსულხართ,
შენდობას ითხოვს თქვენგანა.

სიკვდილთან ქრთამი არ გადის,
აქვს თავის განაჩენია,
აქედან წაუყვანელი
არავენ გადარჩენია.

მოენატრებათ მეგობრებს
შენს გვერდით ყანწის აწვევა,
შენი ღამაში სიმღერა,
შენი გარმონის გაწვევა.

რა მონადირე იყავი
კლდეში მავალი ფრენითა,


მე შენი ღალი სიცოცხლე
ვერ გამოითქვამს ენითა.

ბევრი მოგიკლავს ნადირი,
კვერნა, დათვი და მგელია,
ჯიხვებს ქე გაეხარდებათ
– მომკვლარა ჩვენი მტერია.

გუნდ-გუნდად დაგტრიალებენ
ამხანაგების ჯარია,
ორმოცისთვის ასუქებენ,
უნდა დაგიკლან ხარია.

მიდიხარ, ამიერიდან
მშვიდობა შენსა გზასაო,
იქ დაგიხვდება ლეილა,
ჩუმიად ჩაგიკრავს თვალსაო.

– მზე მიდის, მეც თან გავეყვები,
ნუ ჩამომარჩენთ მზესაო,
ბევრი დაგრჩებათ სათქმელი,
ვერ მოათავებთ დღესაო.



1960-იანი წლების საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდის წევრები: ზურაბ ვობეჯიშვილი (ერმედეეთი) და ზარიბეგ ბერიაშვილი (მარჯვნივ) წვრთნის დროს.

ნეკროლოგი

ეთერ გოგრიჭიანი-აბაშიძისა (1946-2009წწ.)



ა.წ. 22 მარტს, სრულიად მოულოდნელად, გარდაიცვალა შესანიშნავი მანდილოსანი – ეთერ ალექსანდრეს ასული გოგრიჭიანი-აბაშიძისა (ყაწონეთი).

ძალზე უდროო და ტკივილიანია მისი ამქვეყნიდან წასვლა. არ მოველოდით ჩვენთვის ამ უსაყვარლეს ადამიანთან ნაადრევ განშორებას. გვეგონა, იმ აუწყავ სითბოსა და სიკეთეს, ყველას უხვად რომ გვინაწილებდა, დაუსრულებელი იყო. ამიტომაცაა, რომ ვერ შეგვუბივართ რეალობას და ისევ გვეგონია, ხვალ თუ ზეგ, კვლავ შეგვხვდება სანდომიანი, ნათელ-ლიმილიანი სახით, მოგვეფერება, დაგველოცავს, გაგვახარებს...

მომხიბვლელობასა და სიკეთესთან ერთად, ნიჭითაც დააჯილდოვა განგებამ. წარჩინებით დაამთავრა ღების საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე. წარმატებით დაასრულა უნივერსიტეტის კურსიც და როგორც სწავლული გეოგრაფი მიაგლინეს მიწათმოქმედების საპროექტო-კვლევით ინსტიტუტში, განყოფილების გამგედ, სადაც, წლების მანძილზე, დაუღალავი, კვალიფიციური შრომითა და კეთილსინდისიერებით გამოიჩინა თავი.

კარგი, მისაბაძი ოჯახი შექმნა. ძალიან შეგვაყვარა თავი დათო აბაშიძემ. ისინი ერთმანეთისათვის იყვნენ მოვლენილი ამქვეყნიდან. მაგრამ, ვაი რომ, ავაზაკის ნასროლმა ბრმა ტყვიამ არ აცალათ ერთად მისულიყვნენ სიამტკბილობით ხნოვანებამდე.

ორი ვაჟკაცი აღზარდეს ქართულ ტრადიციებზე, რომელთა ოჯახებიც მუდამ წმინდად შეინახავენ ეთერისა და დათოს ხსოვნას.

ჩვენო ძვირფასო და მარად დაუვიწყარო ეთო! კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, შენი კეთილი გულის სანაცვლოდ, თუ როგორ ყვარებიხარ ყველას, ვინც კი გიცნობდა; როგორი ალალი ცრემლით გაგაცილა უკანასკნელ გზაზე შენმა სანათესაომ, მეზობლებმა, თანამშრომლებმა...

იძინე მშვიდად! თბილი და მსუბუქი იყოს შენთვის უბისის უძველესი მონასტრის მიწა, სადაც დათოსთან ერთად განისვენებ.

სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა!

ახლობლები

ღების საზოგადოება მწუხარებას გამოთქვამს მაცხოვრის აღდგომის ეკლესიის არქიტექტორის, გივი გოგრიჭიანის დედის

დოდო ჩაგელიშვილი-გოგრიჭიანის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ზოგი რამ რაჭის წარსულიდან

...ონის პირისპირ, რიონის ჩრდილოთ, მთის კალთა-სა შინა, მადლა, არს დაბა ძეგლევი. აქა ეკლესიასა შინა არს ზეთი ჭიქითა და მღუდარებს მარადის და, რაოდენ იღებენ, არ აკლს ჭიქასა მას.

ვახუშტი ბატონიშვილი

შენიშვნა: ვახუშტის ეს ცნობა დადასტურებულია მარი ბროსეს მიერ (1847წ.), რომელსაც ადგილზე ჩააწერინეს: ზეთი სასწაულმოქმედად ითვლებოდა და ავადმყოფების სამკურნალოდ იყენებდნენ. XVIII საუკუნის შუა წლებში ონის საჯანის წმინდა გიორგის ეკლესიის მღვდელს ახლობელი გახდომია ავად და „ზეთი ჭიქითა“ ძეგლევიდან ონში წაუღია. გზაში იგი წაქცეულა, ჭიქა გატეხილა და ზეთი დაქცეულა.

* * *

...XIII საუკუნის 80-იან წლებში გაუქმებული რაჭის საერისთავო მომდევნო საუკუნის მიწურულს იქნა აღდგენილი (მანამდე მეფის სახასო მამულად ითვლებოდა). XIV საუკუნის დასასრულს რაჭის ერისთავად ვინმე აღბუღა ზის. 1432 წელს კი ერისთავად ციცი ჭარულიძეა. გადმოცემით ცნობილია ერისთავი ქველი ჭარულიძეც. შესაძლოა აღბუღაც ჭარულიძეთა საგვარეულოდან იყო და რაჭის ერისთავობა ადრეც ამ გვარის წევრს ჰქონდა.

XV საუკუნის მეორე ნახევარში ჩხეტიძეთა (ჩხეტიძე) გვარის წარმომადგენელი – ივანე რაჭის ერისთავად წინაურდება. იქიდან მოყოლებული, რაჭის

ერისთავობა ჩხეტიძეთა გვარს მემკვიდრეობით ერგო. ჩხეტიძეებსა და მათი თანამოგვარე რაჭის ერისთავებს შორის გვაროვნული კონტაქტი მალე შეწყდა. დროთა ვითარებაში ძველი საგვარეულო სახელიც ჩამოსცილდათ და თავიანთი თანამდებობის აღმნიშვნელი „ერისთავი“ გაუგვარდათ.

მეორე ხანის რაჭის ერისთავთა ქრონოლოგიური სია

1. აღბუღა ჭარულიძე – XIV ს. დასასრული – XV სს. დამდეგი.
2. გიორგი ჭარულიძე – 1413-1444 წწ.
3. ციცი ჭარულიძე – იხსენიება 1432 წელს.
4. მირიან ჭარულიძე –
5. ქველი ჭარულიძე – XV ს. 30-80-იან წლებს შუა.
6. გიორგი აბლაჭელიძე – 1486-88წწ.
7. ივანე ჩხეტიძე – 1488წ.
8. კახაბერ ჩხეტიძე – 1497-1503წწ.
9. ბედან ჩხეტიძე – 1504-1533წწ.
10. შოშიტა I (ერისთავი) – 1534-1565წწ.
11. ლომინ (შოშიტა I ძე) – 1566 წლიდან XVII ს. ბოლომდე
12. პაპუნა I (ლომინის ძე) – 1651-1660წწ.
13. შოშიტა II (პაპუნა I ძე) – 1661-1684წწ.
14. პაპუნა II (შოშიტა II ძე) – 1684-1696წწ.
15. შოშიტა III (პაპუნა II ძე) – 1696-1731წწ.
16. გრიგოლ (შოშიტა II ძე) – 1731-1743წწ.
17. ვახტანგ (შოშიტა III ძე) – 1743-1749წწ.
18. როსტომ (შოშიტა III ძე) – 1749-1769წწ.
19. ანტონ (როსტომის შვილიშვილი) – 1784-1785წწ.
20. გიორგი (როსტომის ძე) – 1785-1787წწ.
21. ანტონ (გიორგის ძე) – 1787-1789წწ.

როსტომ რაჭის ერისთავმა ამოწვევითა რაჭის თავადები – იაშვილები და ჯაფარიძეები. რაჭიდან გააძევა თავადი წულუკიძეები და მათი მამულები თვითონ მიითვისა. მიიტაცა აგრეთვე რაჭის დიდი აზნაურების – ყიფიანების, იაშვილების, გამრეკელიძეების, ლიპარიშვილების სამფლობელოები, მას მიაყოლა სამეფო მამულებიც და ასე მთელ რაჭას დაეუფლა.

როსტომ ერისთავი დიდად უწყობდა ხელს კათოლიკე მისიონერებს. მის სამფლობელო ონში კათოლიკე პატრებს თავიანთი სახლი ჰქონდათ. როსტომმა მათი გაგვლით კათოლიკობა მიიღო.

მეფისადმი ურჩობის გამო, 1769 წელს, იმერეთის მეფე სოლომონ I-მა შეიპყრო ერისთავი და თავადები დასთხარა. მეფემ რაჭის საერისთავო გააუქმა და მხოლოდ 1784 წელს იქნა აღდგენილი. 1769-73 წლებში როსტომი პატიმრობაშია. მისი 7 ვაჟიდან ცოცხალი დარჩა ოთხი, რომლებიც პატიმრობიდან გაიქცნენ და თურქეთს შეაფარეს თავი.

როსტომი გარდაიცვალა 1790 წელს.

* * *

1819-20 წლებში, დასავლეთ საქართველოში მომხდარ აჯანყებებს, ყველაზე აქტიურად რაჭველები გამოეხმაურნენ. გამაგრებული იყო ხიდიკარი, ამბროლაურ-კვარას ციხეები. ქვაბთკარში იდგა ათასობით შეიარაღებული აჯანყებული. ბრძოლების მეთაურებად თავადი იაშვილები და წულუკიძეები გამოდიოდნენ... სოფ. კაჩათში მეფის გენერლებმა აჯანყებულთა დამარცხების შემდეგ აღმოაჩინეს დიდი ქარტია, რომელშიც მოთხრობილი იყო ბრძოლის მიზანი და დანიშნულება, გეგმა და ა.შ.

გაზეთის გამოცემა დააფინანსა:
პავლე ვობეჯიშვილი.

რედაქტორი: ვაჟა ვობეჯიშვილი